

# დაბა ურეკის გაზიფიცირება დაიწყო

მოსახლეობას უკვე შემცირებული ტარიფის გადახდა შეეძლება ეტაპობრივად, 16 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად 25 ლარის შეტანით



## თმურ მარშანიშვილი

საქართველოს ვიცე-პრემიერი/ენერგეტიკის მინისტრი კახი კალაძე, საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის დირექტორი მამუკა კობახიძე, გურიის მხარის გუბერნატორი ვია სალუქვაძე, ოზურგეთის თემის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია, ქალაქ ოზურგეთის მერი ბეგლარ სიორიძე და ადგილობრივი თვითმმართველი სტრუქტურების სხვა ოფიციალური პირები 9 ივნისს დაბა ურეკში გაზიფიცირების სამუშაოების დაწყებას დაესწრნენ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის, სოფლების – შეკვეთილის, ქვემო ნატანებისა და ზემო ნატანების, აგრეთვე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთის გაზიფიცირებისთვის

საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს ახორციელებს შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, უკვე დასრულებულია საპროექტო სამუშაოები და დაწყებულია დაბა ურეკის გაზიფიცირების სამშენებლო სამუშაოები.

გაზსადენის საპროექტო სიგრძე 32-855 მეტრია. განხორციელებული სამუშაოების შედეგად, ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა მიეცემა დაბა ურეკში მცხოვრებ 878 ოჯახს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის გაზიფიცირების სამუშაოების დასრულება დაგეგმილია 2015 წლის ოქტომბერში.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, 2014 წელს 14 მუნიციპალიტეტის 75 სოფლის გაზიფიცირების მი-

ზნით, ბიუჯეტიდან გამოიყო 20 მილიონი ლარი. სოფლად მცხოვრები ათასობით ოჯახის გაზიფიცირების სამუშაოები წლის ბოლოსთვის დასრულდება.

ბუნებრივი გაზის სექტორში ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთების ტარიფი 600 ლარიდან 400 ლარამდე შემცირდა.

ენერგეტიკის სამინისტროსა და გაზგამანაწილებელი კომპანიების შეთანხმებით, ისევ შენარჩუნებულია ამ თანხის ეტაპობრივი გადახდის მექანიზმი და მოსახლეობას უკვე შეეძლება ტარიფის გადახდა შეეძლება ეტაპობრივად 16 თვის განმავლობაში, ყოველთვიურად 25 ლარის შეტანით. მომსახურების ღირებულებაში შედის ბუნებრივი გაზის ერთი წერტილის მოწყობა.



# პოლიტიკური

უბედესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამომდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. ყოველკვირეული გამოცემა. №24 (10114), 15 0860სი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.



## გურული ჩაი გურული ანემოდოტებით

„კლიერი ქალი კლიერი სახელმწიფოს“ ლაგაზაგანის პიარი მოგაგალი გურული პრინციპების

**ალიონი.** გურაში ამინდმაც იცის სტუმრის ფასი. კიდევ კარგი, რომ 10 ივნისს, ოზურგეთში, არასამთავრობო ორგანიზაცია „კლიერი ქალი ძლიერი სახელმწიფოს“ სტუმრობისას, არც ღვარცოფი მოვარდნილა და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც ძლიერი ქალი ამოკრია, თორემ ხომ დარჩებოდა დაუკრეფავი სოფელ ბაზეში მალხაზ ლიპარტელიანის ჩაის პლანტაციას!

ეს, რასაკვირველია, ხუმრობით, სინამდვილეში კი, მიუხედავად ლალი მორიშკინას მოწადინებას, პოპულარიზაცია გაუწიოს ჩაის კულტურას გურაში.

გ სტუმრებმა, გუბერნატორთან და ქალაქ ოზურგეთის მერთან ერთად, კონფერენცია გამართეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დარბაზში.

როგორც ქალბატონმა ლალიმ აღნიშნა, „კლიერი ქალი ძლიერი სახელმწიფოს“ ორგანიზაციის წარმომადგენლები საქართველოს ყველა რეგიონში, ყველა კუთხეში ჩადიან და ცდილობენ, თავიანთი წვლილი შეიტანონ კონკრეტული პრობლემების მოგვარებაში. დამსწრეთა გააცნეს მათი ხედვები ჩაის კულტურის განვითარებასა და აღორძინებაში. წარმოადგინეს მზა პროდუქციის საკუთარი, სკერაში.

ბავიდან დაბრუნების შემდეგ



## ვინ არის „რუსი“ და ვინ იბრძოდა „ქართული ოცნების“ ფინანსდამფარველებს

ბასულ პარასკევს, გაზეთ „ალიონს“ სოფ. ცხემლისხილიდან „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფარველი ოზურგეთში, ამ პარტიის აქტიური მხარდამჭერი ნუგზარ გიორგაძე დაუპაპვირდა და შემხვედრა გვთხრობს. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში მან სიმპის საკამოდ სქამლანინი საძალადგო გაგვაცნო.

„ალბათ, იცით, ხელკეტით გაუპატიურება პირველად პინოჩეტმა გამოიყენა. მას დაემატა ქართული ვარიანტი - ცოცხით გაუპატიურება... ადამიანები, რომლებიც სასტიკად უსწორდებოდნენ განსხვავებული შეხედულებების მქონეთ, ფეხქვეშ თელავდნენ მათ უფლებებს, ართმევდნენ ბიზნესს, პატიმრების წამების ყველაზე სასტიკ მეთოდებს იყენებდნენ, იზღუდებოდა თავისუფალი მედია და ამ „საგმირო საქმეების“ შემომქმედნი, დღეს კვლავ მაღალ საჯარო თანამდებობებს იკავებენ, ეს კი გაუგებარია იმ ადამიანებისთვის, ვინც ყოველივე ზემოხსენებული საკუთარ თავზე გამოცდადეს - გვითხრა მან...“

**ბატონო ნუგზარ, მინც რამ განაპირობა თქვენი გააქტიურება?**

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოზურგეთში ჩამოსვლის წინ გურიის ახალდანიშნულ გუბერნატორს შეეხვდი. მაინტერესებს მისი ხედვა სამართლიანობის აღდგენასთან და-



კავშირებით, რადგან მან ბევრი რამ გამოსცადა საკუთარ თავზე, იგი წინა ხელისუფლების მიერ რეპრესირებული პირია, რომელსაც პოლიტპატიმრის სტატუსი აქვს.

– 2 წლისა და 8 თვის წინ გაიმარჯვა „ქართულმა ოცნებამ“ და სრულიად საქართველომ და დღემდე სასურველი შედეგი არ დამდგარა.

როცა ბატონი ვია მოვიდა ხელისუფლებაში, იმედი მოგვეცა, რომ ოზურგეთს და მთლიანად გურიას აღმავლობის გზით წაიყვანს. ამას ისიც დაემატა, რომ მის ერთ-ერთ მოადგილედ დაინიშნა სოსო ერქომაიშვილი, რომელიც ჩვენს

გვერდით იბრძოდა.

**– თუ საიღუმლო არ არის, რა იყო შეხვედრის თემა?**

– სხვა საკითხებთან ერთად, ძირითადად სოფლის მეურნეობაში მიმდინარე ძვრებზე ვისაუბრეთ.

**– მინც რას ხედავთ მთავარ პრობლემად სოფლის მეურნეობაში?**

– მიმე მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის სამინისტრო დღესაც ძირითადად წინა ხელისუფლების დროინდელი კადრებითაა დაკომპლექტებული. სამინისტროს შუა რგოლის 80 პროცენტი არ შეცვლილა. ბუნებრივია, არც ოზურგეთში დაწყებულა საყურადღებო ძვრები.

შეხვედრაზე, რომელიც ოზურგეთში გაიმართა (მას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე პაპუნა ჯანელიძე ესწრებოდა) სოფლის მეურნეობის პროექტების კოორდინატორმა გურულ გლეხებს ახალი „ხედვა“ შესთავაზა: ჩაის კულტურისა და გადამამუშავებელი მრეწველობის აღდგენის ნაცვლად, აღმოსავლეთიდან ატმის, ჭანჭურის და ქლაივის ნერგების შემოტანა და აღმოსავლური ხილის ბაღების გაშენება ურჩია. მე მას ვუთხარი: თქვენ გურულები მართლა გამო... ხომ არ გვინათ-თქო.

ამ შეხვედრამ ისეთი შთაბ-



### გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარი;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;
- სამელოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- გასწვნიება, ნეკროლოგი - სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- ახალი წლიდან აღიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორმაგად
- საჯარო ფასი: 50 თეთრი, ხელმოწერა:**
- ერთი თვით - 2 ლარი, სამი თვით - 6 ლარი, 6 თვით -12 ლარი, ერთი წლით - 24 ლარი.**

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აღიონის წარწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

**სარეკლამო მომსახურება**

**რედაქტორი**  
**ნუგზარ ასათიანი**  
nugzarasatiani@rambler.ru  
558 499100

**საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:**  
**თემურ მარშანიშვილი**  
tem52@mail.ru  
599 373515

**კომპიუტერული უზრუნველყოფა**  
**გიორგი გოგოლაძე**  
gia\_77@mail.ru  
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3  
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311  
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“  
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი მიზნობრივი აქტივობა

«ალიონით»

### ოზურგეთის მოსახლეობას მაღალპროდუქტიული, ლანდრასისა და იორკშირის ჯიშის ღორების გამრავლების შესაძლებლობა უკვე აქვს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მაღალპროდუქტიული, ლანდრასისა და იორკშირის ჯიშის ღორების გამრავლების შესაძლებლობა უკვე აქვს. „კავკასიის გენეტიკას“ და მუნიციპალიტეტის გამგეობის შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე ახალი ჯიშების დანერგვა ხელშეწყობის განყოფილების გზით მოხდება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ორგანიზებით აღნიშნული ინოვაციის შესახებ მოსახლეობა ინფორმირებულია. ამ ეტაპზე, ღორის ჯიშები სოფელ გურანთაში, ჭანიეთსა და ქალაქ ოზურგეთში დაინერგა.


### „კეპილოტას“ „გაგვიტოლი აგონია“

10 ივნისს „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის“ ოფისში ჩატარდა ჩვენება ორგანიზაციის ბაზაზე არსებული ბავშვთა თეატრალური სტუდია „კეპილოტას“ მიერ მომზადებული ორნაწილიანი სპექტაკლის „გაგვიტოლი აგონია“.

სპექტაკლის მიზანი ბავშვთა უფლებების პოპულარიზაცია გახლდათ. პირველი ნაწილი ეხებოდა სიცოცხლის უფლებას. მოზარდებმა შეასრულეს როლები იმ ბავშვების, რომლებიც სელექციური აბორტების მსხვერპლი გახდნენ, ასევე წარმოადგინეს ის გენდერული პრობლემები და სტერეოტიპები, რომლებსაც ქალები აწყდებიან ყოველდღიურ ცხოვრებაში.

სპექტაკლის მეორე ნაწილში ნორჩი მსახიობები გამოხატავენ პროტესტს აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვებთან დაკავშირებით, საყვედურობდნენ საკუთარ მშობლებს უყურადღებობისა და მათი უგულვებელყოფისთვის, რადგან ყოველ ბავშვს, მიუხედავად სქესისა, რასისა თუ კანის ფერისა, აქვს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება.

სპექტაკლს 50-მდე ადამიანი ესწრებოდა.



თავისუფლების შეზღუდვებთან დაკავშირებით, საყვედურობდნენ საკუთარ მშობლებს უყურადღებობისა და მათი უგულვებელყოფისთვის, რადგან ყოველ ბავშვს, მიუხედავად სქესისა, რასისა თუ კანის ფერისა, აქვს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება.

### პროექტის პრეზენტაცია მერიის საჯარო სკოლაში

მიმდინარე სასწავლო წლის დასასრულს მერიის საჯარო სკოლის VII კლასში გაიმართა პროექტის პრეზენტაცია ქართულ ენასა და ლიტერატურაში. თემა - „ისტორიული ადგილების გზამკვლევი“. პროექტის მომზადების დრო - ერთი თვე. შეიქმნა სამი ვგუფი. მასწავლებელმა ციური ქავთარაძემ და მოსწავლეებმა სამუშაო ობიექტად სოფელ მერიისა და ნაღობილვის ეკლესიების გზამკვლევის შედგენა გადაწყვიტეს. ვგუფის ყველა მოსწავლე აქტიურად ჩაება პროექტის სამუშაოში და შედეგად კარგი გამოაჯინეს.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები და სკოლის წარმომადგენლები. სოფელ მერიის მკვიდრი ოსებ სირაძე აქტიურად ჩაება პრეზენტაციის მვლელობაში და საინტერესო ფაქტები მაწაფა მოსწავლეებს. მან ისაუბრა ლეთისმშობლის მიძინების ტაძრის მშენებლობაში ადგილობრივი მოსახლეობის მიერ გაწეულ უანგარო მუშაობაზე.

გოგორეთის ეკლესიის გზამკვლევი ასახავდა როგორც ხალხში შემორჩენილ თქულებებს, ასევე იმ მკვირე მავრამ ბევრისმოქმედი ნივთების ნუსხას, რომელიც დღესაც ინახება ადგილზე.

ნაღობილვის ცენტრში ახლანა გაიხსნა და საინტერესო ისტორიით დაიწყო ფუნქციონირება წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიაში.



პრეზენტატორებმა: ნინო მოისწრაფეშვილმა, ანა მგელაძემ და რეზო გოგატაძემ არამარტო მეტყველებით, არამედ საზოგადოებასთან ურთიერთობითაც მიიქციეს მსმენელის ყურადღება.

ზემოთ ჩამოთვლილი საპროექტო მასალები ნიშნავს იმ დიდი სულიერი აღზრდისა, რაც დღევანდელ ასაღვარდებში იგრძნობა.

სკოლის დირექტორმა ავთანდილ კვცამაძემ მადლობა გადაუხადა მოსწავლეებსა და ქალბატონ ციური ქავთარაძეს, რომელსაც ბევრჯერ უსამოვნებია მსმენელი კარგად მომზადებული ღონისძიებები.

**მასო კეჭავაძე,**  
დირექტორის მოადგილე


### ანასეულში 6 მრავალსაცხოვრებლიანი კორპუსი გადაიხურება

ანასეულში, მეცნიერებისა და უნივერსიტეტის ქუჩებზე 6 მრავალსაცხოვრებლიანი კორპუსი გადაიხურება.

ამის შესახებ ქალაქ ოზურგეთის მერმა 10 ივნისს „ალი-

ონთან“ საუბრისას აღნიშნა. ბეგლარ სიორიძის თქმით, გადახურვითი სამუშაოები ამ დღეებში დაიწყება და ორი თვის ვადაში დამთავრდება.

### ზურაბ ჩელეაძე: „უცხოეთში სწავლა თანდათან ხელმისაწვდომი ხდება ქართველი სტუდენტებისთვის“



**ალიონი.** ზურაბ ჩელეაძე ბიოლოგიის და ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორია. იგი პოლონეთში, ქ. კლუცეს იანა კონანოვსკას სახელობის უნივერსიტეტის მიწვეული პროფესორია. ლექციებს კითხულობს კავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკაზე. არიან თუ არა პოლონეთში ქართველი სტუდენტები, როგორია ვეროკავშირის წევრ ქვეყანაში უმაღლესი განათლების მიღების პირობები, ბატონი ზურაბი ამ თემაზე გაზეთ „ალიონს“ ესაუბრა:

- რა თქმა უნდა არიან საქართველოდან სტუდენტები პოლონეთში. ქ. კლუცე ვარშავიდან 180 კილომეტრში მდებარეობს. 300-ათასიან ქალაქში 80 ათასამდე სტუდენტი იქნება. ისინი ქ. კლუცეს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ. მაგალითის გეგმით: ქ. კლუცეს ევარდ ლიპინსკის სახელობის „ეკონომიკისა და სამართლის“ უმაღლეს სკოლაში (HTTR-SEIP.EDU.DEL) უცხოელი აბიტურიენტებისთვის ბაკალავრიატსა და მაგისტ-

რატურაში აცხადებს მიღებას.

-**გასაგება, მაგრამ უცხოელებისათვის პოლონეთში სწავლა ხომ ფასიანია.**

-პოლონეთში საქართველოდან წარუზაწვილ აბიტურიენტებს სწავლის საფასურს ნაწილობრივ უფინანსებს ვეროკავშირი. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ სასწავლებელში პირველი კურსის სწავლების საფასური შეადგენს 1200 აშშ დოლარს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აქ საქართველოსაგან განსხვავებით ბაკალავრიატში სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია, მაგისტრატურაში აქაც 2 წელი. ისინი, ვინც ერაზმუს პროგრამით მოხვდებიან იქ, მათთვის სწავლა უფასოა.

-**უფრო დაწვრილებით ხომ არ გვეტყვი გადასახადების შესახებ?**

-აბიტურიენტი უცხოეთის საბუთის გაუზაწვილთანავე გადაიხდის 600 აშშ დოლარს. პოლონეთში ჩასვლისთანავე კიდევ 300 დოლარს, ხოლო დარჩენილ 300 აშშ დოლარს სწავლის მეორე ნაწილის დაწყებისთანავე გარკვეული კატეგორიის აბიტურიენტებისთვის დაწესებული შეღავათები (ოჯახიდან ორი აბიტურიენტის შემთხვევაში 500-500 დოლარს და ა.შ.). ხოლო სანიმუშო სტუდენტებს ჩვენი რეკომენდაციით მეორე და მესამე კურსებზე შეუმცირდებათ სწავლის საფასური 600-დან 800 აშშ დოლარამდე. პირველი კურსის დასურვის შემდეგ სტუდენტებს შესაძლებლობა სწავლება გააგრძელონ ვეროპის ნებისმიერი ქვეყნის უნივერსიტეტში ერთი წლით. სწავლის პერიოდში სტუდენტები

მიიღებენ სტიპენდიას 400-500 ევროს ოდენობით. უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებელი, რომლის საფასური შეადგენს თვეში 40-დან 100 დოლარამდე. ასევე ისარგებლებენ სტუდენტური სასაიდლოთ, აუნაზღაურდებათ ტრანსპორტის ხარჯი და ა.შ.

-**როგორ უნდა დამოუკიდებელი სტუდენტმა ენობრივი ბარიერი?**

-სწავლება პოლონეთში შესაძლებელია ინგლისურ, და პოლონურ ენებზე. მსურველებისთვის ინგლისური ენის შესწავლა შესაძლებელია საქართველოში, ხოლო პოლონეთში აბიტურიენტები 3 აგვისტოდან გაივლიან ორ-სამ თვიან პოლონური ენის შემსწავლელ კურსებს. ენების შესწავლა ფასიანია. პოლონური ენის შესწავლა ადვილზე 150 აშშ დოლარი ეღირება. პოლონურის შესწავლა ადვილია იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც რუსულ ენას ფლობენ.

-**რა სპეციალობის სთავაზობთ პოლონეთში აბიტურიენტებს?**

-როგორც ბაკალავრიატში ისე მაგისტრატურაში სამართალმცოდნეობა; ეკონომიკა, საბანკო საქმე და ფინანსები; საერთაშორისო ტურიზმი; მენეჯმენტი; მარკეტინგი; სამედიცინო მენეჯმენტი.

სწავლების დამთავრების შემდეგ სტუდენტებს შეუძლიათ დასაქმდნენ როგორც პოლონეთსა და საქართველოში, ისე ვეროკავშირის სხვა ქვეყნებში.

დამატებითი ინფორმაციისათვის შეუძლიათ დარეკონ (558) 64 48 95; (568) 70 06 00.

**იყიდება**

ყველაზე კეთილმოწყობილი სახლი ოზურგეთში.  
ტელ. 593 956183.

- 90 კვ.მ კომერციული ფართი ოზურგეთში.  
ტელ. 593 956183.

- გადასატანად წაბლის ოთხთახიანი სახლი და თელავის მარმარილოს თეთრი „კროსკა“.  
ტელ. 568 400 366

**გაძლიერება ქალაქის მერიას მხარდაჭერისათვის**

2005 წელს დამეწვა საცხოვრებელი სახლი. მართალია, ადრე სამშენებლო მასალის დამენდარა ხელისუფლება, მაგრამ არანაირი სხვა სახის არ მქონდა სახლის აღსადგენად. მივმართე ქ. ოზურგეთის მერსა.

ქ. ოზურგეთის მერმა ბევი სიორიძე და მოადგილე ალექო ბურჭულაძე გაგებით მოეკიდნენ ჩემს ოხონას და ფინანსურად დაემხმარნენ.

მადლობა მათ თანადგომისთვის.  
**მამაძალა ურუშაძე,**  
ქ. ოზურგეთი, თაყაიშვილის ქუჩა მე-5 შეს. №4 მცხოვრები.

# ვინ არის „რუსი“ და ვინ იბრძოდა „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ

ეკლექტიკა დატოვა, რომ ჩვენ შევარდნადის ხანაში დაგებულნი. სწორედ მან გვაუწყა, რომ მიმატკუასელის „გეოპოლიტიკა“ (იმ „გეოპოლიტიკა“, რომელმაც ჩაის წარმოება გააჩერა ლათიურში და მის ხელში აღმოჩნდა ასეულობით ჰექტარი ჩაის პლანტაციები) მიეცა სახელმწიფოსაგან გამოყოფილი გრანტი.

ამ თემაზეც ვისაუბრეთ გუბერნატორთან. სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ გრანტებს ასეთ ფორმებს არ უნდა აძლევდნენ.

– **ოზურგეთში ჩაის მრეწველობის მხარდასაჭერად არასამთავრობო ორგანიზაცია „ძლიერი ქალები – ძლიერი სახელმწიფო“ იყო..**

– მივესალმები არასამთავრობო აქტიურობას ამ თემაზე, მაგრამ სოფ. ბაზვში, ჩაის პლანტაციებში ქალბატონ ლალი მოროშკინას გვერდით რამდენიმე ისეთი ადამიანიც იდგა, რომლებმაც ჩაის მრეწველობა რომ მოკლეს გურიაში. მე პატივისცემით ვარ განსჯადული ქალბატონ ნანა მელაშვილისა და ბატონ გია ხუტუას მიმართ, რომლებმაც ჩაის ფაბრიკები შეინარჩუნეს. ამიტომ წინა პლანზე ასეთი ადამიანები უნდა იდგნენ.

– **პატივითა და იდიოტობას არ ნიშნავს. ამით რა გინდობათ ვეთქვათ?**

– გეტყვით, ჩვენ აქ ასეულობით ადამიანის სიები მოვიტანეთ, დროა მივხედოთ პოლიტიკურ წარსულს. ვინ საიდან მოვიდა პოლიტიკაში, შემდეგ – ხელისუფლებაში. აქედან უნდა დავიწყოთ სამართლიანობის აღდგენა.

– **იმის გამო, რომ ადამიანები „ნაციონალური მოძრაობის“ ან სხვა პარტიებს წარმოადგენდნენ, სამსახურებში არ უნდა იყვნენ?**

– ეს არც მიფიქრია. მე პოლიტიკურად არ ვეთანხმები, თორემ პატივისცემის გრძობით ვარ „ნაციონალური მოძრაობის“ იმ წევრების მიმართ,

№	სახელი	ფუნქცია	კონტაქტი
1	...	...	...
2	...	...	...
3	...	...	...
4	...	...	...
5	...	...	...
6	...	...	...
7	...	...	...
8	...	...	...
9	...	...	...
10	...	...	...

დღესაც რომ თვინათი პარტიის ერთგული არიან (ზონდერებს არ ვგულისხმობ). მე იმათზე ვსაუბრობ, რომლებიც პორტირებულნი არიან და ხვალ თუნდაც ემზაკს შეეკრებიან თვინათი კეთილდღეობის დასაცავად.

– **მინც ვინ არიან ამ სიებში?**

– გულს არავის დაუწყევტ. ჩვენ ყველას სახელსა და გვარს გამოვაქვეყნებთ, თუკი თქვენს გაზეთს პრობლემებს არ შეუქმნიან. ახლა რამდენიმე მაგალითს მოგიყვანთ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებიდან:

„ნაციონალურ მოძრაობას“ ცალკეულ უბნებზე გარკვეული ფუნქციები ჰქონდათ გადაწვლილებული. ერთ-ერთი ფუნქციით უბნებზე „სამართლის“ დაცვაზე პასუხისმგებელი ჯგუფები ჰყავდათ. ჯგუფში 10-12 კაცი იყო. თავად ნახეთ, რა აწერია ქვეშ: (უშიშარი და

მოტივირებული პირი, ვისაც გონება უჭრის და ფიზიკურადც შეუძლია სიმართლის დაცვა). ავიღოთ შემოქმედის №46 საარჩევნო უბანი. აქ ამ ჯგუფის ხელმძღვანელი შემოქმედის იმჟამინდელი და ამჟამინდელი რწმუნებული ბესო ლომინაძე იყო. ა.ბატონო, ავიღოთ ქალაქის რომელიმე უბანი: – №57 უბანში “ნაციონალურ მოძრაობას” ასეთ „უშიშარ“ წევრად სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონული სამმართველოს უფროსი კახა თავბერიძე ჰყავდა.

ტრანსპორტის მობილიზებაზე პასუხისმგებელ პირებად უბნებში სოფლის რწმუნებულს ან მათ მიერ შერჩეული პირი უნდა ყოფილიყო (მაგალითად, აიპ-ის ხელმძღვანელი). ბაზვის №20 საარჩევნო უბანზე ასეთ პირად სოფლის იმჟამინდელი და ამჟამინდელი რწმუნებული გოჩა შარაშენიძე ჰყავდათ დანიშნული, ხოლო მშვიდობაურის №22 საარჩევნო უბანზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი კობა ბანძელაძე...

– **თქვენ მხოლოდ რამდენიმე დასახელებით...**

– ვიმეორებ, გული არავის დაწყევტ. ჩვენ ამჟამად ამ და სხვა სიების გამოფრვაზე ვმუშაობთ და ყველა იმათ სახელსა და გვარს დავასახელებთ, რომლებიც „ნაციონალური მოძრაობის“ სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ და დღესაც არიან ხელისუფლებაში. თავდაც ხელდავთ ამ სიებიდან, როგორ პატივში ჰყავს ხელისუფლებას ეს ხალხი.

– **კი, მაგრამ რა უნდა ჰქნას ამ ხალხმა „ქართულმა ოცნებამ“ დასაქმა...**

– კი ბატონო. „ქართულმა ოცნებამ“ მათი უმეტესობა დასაქმა. თავად „ქართული ოცნებიდან“ მხოლოდ 13 კაცია დასაქმებული. საინტერესო სტატისტიკაა. ჩვენ ამ ხალხს ვურჩევთ, ჩამოშორდნენ საჯარო დაწესებულებებს.

გადავიდნენ ბიზნესში. „ქართული ოცნება“, წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ბიზნესს არ ატერორებს. „საბოტაჟნიკები“ ხელისუფლებაში თანამდებობს არ უნდა იკავებდნენ.

მე ამ ხალხის საყურადღებოდ ვამბობ, ვინც „ქართული ოცნების“ სახელით სამსახურებში ხართ, იღებთ სამსახურებიდან ხელფასს, ხალხის გაჭირვება არაფრად მიგაჩნიათ, ხალხს თქვენს სახეებს დავანახებთ.

მე ხელისუფლებას ვეუბნები, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ცოტა დრო დარჩა. დროზე მიხედონ საკადრო პოლიტიკას.

– **ფუნქციების გადამწვლილების სქემაში არის გრაფა „რუსი.“ განმარტებით ვიგებთ, ეს იყო პიროვნება, რომელიც იდგა საარჩევნო უბანში კაბინასთან ახლოს. რა სპეციალულობა უნდა შეესრულებინა მას?**

– რა თქმა უნდა, ვიცით, რა „ფუნქცია“ უნდა შეესრულებინა „რუსს“, „მოთავარ საკონტაქტო პირს“, უბანში ამომრჩევლების მოყვანაზე პასუხისმგებელ პირს და ა.შ. მაგრამ უმჯობესია ამაზე მომდევნო ნომერებში ვისაუბროთ...

– **რას მოუწოდებთ თანამებრძოლებს?**

– მე იმედი მაქვს დღევანდელი ხელისუფლების, რომ მათ უნდა შეძლონ იმ დაკარგული რეპუტაციის აღდგენა, რომლებიც მათ „კოკაპიტაციით“ ნაციონალიზმმა შეულახეს.

მოუწოდებ ჩემს მეგობრებს, რომლებთანაც ერთად ვიბრძოდით ტირანიის წინააღმდეგ, ვიცი გულდაწყვეტილები ხართ, მაგრამ უნდა შევძლოთ სახელმწიფოებრივი აზროვნება, დავდგეთ ხალხის გვერდით, ხალხი მიმტყვევებლია. პოლიტიკაში კი არ არსებობს მუდმივი მტრები, არც მუდმივი მეგობრები, პოლიტიკაში არსებობს საერთო ინტერესები.

## გურული ჩაი გურული ანგლოტებით



### „ძლიერი ქალი ძლიერი სახელმწიფოს“ ლამაზმანების პიარი მომავალი გურული ბრენდისთვის

ცალკური, ორიგინალური შეფუთვა, რომლის ერთ მხარეს იკითხება „გურული ჩაი“, ხოლო მეორე მხარეს – „გურული ანგლოტები“. ისაუბრეს მქაიეობაში ტურიზმის ჩართვაზეც.

ორგანიზაციის ლიდერის თქმით, საქართველოში დამზადებულ პროდუქციას სათანადო პიარი არ უკეთდება და ესაა ძირითადი მიზეზი, რომ რეალიზაცია ძნელდება.

ვიცით, რომ ქალბატონი ლალი მოროშკინა სპეციალობით პიარტექნოლოგია, ნამდვილი პროფესიონალია, მაგრამ მთლად ვერ დავეთანხმებით ოზურგეთში მის გამოსვლას. გასაგებაა, რომ „გურია ნიუსის“ დამფუძნებელი, როგორც თვითონ აღნიშნა, მისი მეგობარია, მაგრამ როცა ერთ მელისამუალებას უვრებ პიარს, სხვებს იგნორირ არ უნდა გაუკეთო. „გურია ნიუსი“ რომ ძლიერი გაზეთია, ამაზე არავინ დავობს, მაგრამ გარდა ამ გაზეთისა, გურიაში სულ ცოტა 6 გაზეთი გამოდის, რომელთაგან ნებისმიერს არანაკლებად ძალუქს კომპეტენტურად, სიღრმისეულად, დარგის კარგი ცოდნით გააშუქოს მქაიეობის საკითხები.

პიარი, რა თქმა უნდა, კარგი და აუცილებელი საქმა, მაგრამ, ჩვენ აზრით, მქაიეობაში, თითქმის მთელი დასავლეთ საქართველოსთვის, განსაკუთრებით გურიისთვის, ამ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგში, ჯერ პიარამდე უნდა მივიყვანოთ საქმა.

ჩაი ნელდუულით იწყება, ნელდუული კი გვიმ-

რამე არ იკრიფება, საამისოდ პლანტაციას საჭირო. ვკიყნებთ, ჩაი ავალრობინოთ და პლანტაციების გასაშენებლად ნაბიჯიც არ ჩანს გადადგმული. მონი, პრაქტიკულად სადღე პლანტაციებიც აღარ არსებობს, საიდანაც უნდა მივიღოთ სათესლე ან საკალმე მასალა. რომც გაგაშენოთ, არ ვიცით, რას გაგაშენებთ, არის კი სადმე შენარჩუნებული ქართული პოპულაციების ჯიშობრივი სიწმინდე? რა გარანტია გვაქვს იმისი, რომ სპონტანური ფორმების ნელდუულიდან მივიღებთ ხარისხიან პროდუქციას? აღარაფერს ვამბობთ ამდენი ხნის გაუნყოფრებელ ნიადაგზე და შეცვლილ კლიმატზე.

ჩაის ასალრობინებლად ღირექტივები არ კმარა, უზუსტესად შემუშავებული სტრატეგია და ხელედაკაპირებული მუშაობა საჭირო – დაწყებული სამინისტროს თანამშრომლებიდან, დამოაერებული მქაიეობით, რომლებიც წინა ხელისუფლებებმა, დარგისთვის სასიკდილო განაჩენის გამოტანით, ფაქტობრივად ულუკმაპუროდ დატოვეს.

პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. ანასეულში დღესაც უზარმაზარი სამეცნიერო პოტენციალია ამ დარგისა. თუ ვიწყებთ, თუ მქაიეობის გადარჩენა გვინდა, აქედან უნდა დავიწყოთ. პიარის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ მხოლოდ პიარით აღარც გურული ჩაი გვექნება და აღარც გურული ანგლოტები.

## იოანე კპტრიფის №1 ში მღებარე 12-სართულიანი კორპუსის ეზო მესრით შემოიღობება

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში, იოანე პეტრიფის №1 ში მღებარე 12-სართულიანი კორპუსის ეზო, მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, მესრით შემოიღობება. ამის შესახებ ქალაქის მერმა გასულ ორშაბათს, ამ კორპუსის მცხოვრებლებთან შეხვედრისას განაცხადა.

ხსენებული კორპუსის მოსახლეობამ ქალაქის აღმასრულებელ ხელისუფლებას განცხადებით რამდენიმე თვის წინათაც მიმართა, ბინების კედლებში დასავლეთის მხრიდან წვიმის წყალი ატანდა. ქალაქის მერიამ შენობის დასავლეთის კედელი თუნუქით შეფუთა, გაარემონტა სადარბაზო, ჩაატარა ფასადის სამღებრო სამუშაოები.

ქალაქის მერთან შეხვედრისას მოსახლეობამ ამჯერად ეზოს შეღობვა ითხოვა. კორპუსი და მისი ეზო ქალაქის ცენტრალურ



გზასთან მღებარეობს და შესაბამისად, ეზო მესრით შეღობვას საჭიროებს. ბეგლარ სიორიძის თქმით, მცხოვრებთა თხოვნა შესრულდება და სამუშაოები უახლოეს მომავალში დაიწყება.

## მხარისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები დაბა ნასაკირალის მოსახლეობას უმხვდნენ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები, არჩილ ყაზაიშვილი და გიორგი ლურჯუშელიძე, გურიის გუბერნატორთან, გია სალუქვაძესთან და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარესთან, დავით დარჩიასთან ერთად, დაბა ნასაკირალის მოსახლეობას შეხვედნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა გურიის გუბერნატორს მოსახლეობის ძირითადი პრობლემები გააცნეს. მონიხულეს დაბა ნასაკირალის საბავშვო ბაღი, სადაც სოფლის მხარდაჭერის პროგრამით იგეგმება ეზოს კეთილმოწყობა და ბაღისთვის ელექტროენერჯის მიწოდების მოწყობის გეგმა.



დაბა ნასაკირალის საბავშვო ბაღში, ამჟამად, ბავშვთა ორი ჯგუფია, სულ – 80 აღსაზრდელი. საჭიროებიდან გამომდინარე სექტემბრისთვის დაემატება მესამე ჯგუფიც.

**თვითმმართველი თემი - ოჯახური მუნიციპალიტეტის გაგზავნა აცხადებს პირობიან აუქციონს**

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	გრძივი მეტრი	„ბე“ 10% (ლარი)	„ბიჯი“ 5% (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	მილსადენი	სოფ. ლიხაური	26.00.294	2 150	1 035	520	50	10 355

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

- ა. საწყის ფასზე ბიჯის დანაშაულის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;  
 ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;  
**სააუქციონო პირობები**  
 ა. ვალდებულების აღება სააუქციონო პირობების დაკმაყოფილებაზე;  
 ბ. შემსყიდველმა უნდა უზრუნველყოს შესყიდვიდან 1 თვის ვადაში მილსადენის მიწიდან ამოღება და ტერიტორიის მოწესრიგება - არხის ამოვსება მიწით.

**" თვითმმართველი თემი - ოჯახური მუნიციპალიტეტის გაგზავნა აცხადებს აუქციონს "**

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მინ. შენობის ფართი კვმ	„ბე“ 10% (ლარი)	„ბიჯი“ 5% (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ლიხაური	26.16.19.118	199		100	50	50	1 000

**აუქციონში გამარჯვების კრიტერიუმია**

- ა. საწყის ფასზე ბიჯის დანაშაულის შემდეგ მაქსიმალური ფასის გადახდა;  
 ბ. საპრივატიზაციო თანხის დაფარვა აუქციონის ჩატარებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

**"თვითმმართველი თემი – ოჯახური მუნიციპალიტეტის გაგზავნა აცხადებს განმეორებით აუქციონს"**

№	დასახელება	მდებარეობა	საკადასტრო კოდი	მიწის ფართი კვმ	მინ. შენობის ფართი კვმ	„ბე“ 10% (ლარი)	„ბიჯი“ 5% (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)	საწყისი გასაყიდი ფასი (ლარი)
1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ლიხაური	26.16.25.008	1500		800	400	50	8 000
2	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. ლიხაური	26.16.25.011	770	154,7	850	430	50	8 500
3	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. ოზურგეთი	26.12.21.045	2199		1 250	625	50	12 500
4	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. დვბაზუ	26.19.18.013	1439	№1 - 187,9 № - 17,4	1 300	650	50	13 000
5	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	სოფ. ნატანები	26.01.84.036	1134	722	2 830	1 415	50	28 224
6	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	დაბა ლაითური	26.25.13.015	977	1312	2 600	1 300	50	26 000
7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა	დაბა ნასაკირალი	26.29.09.029	1132	116,2	650	325	50	6 500
8	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. შრომა	26.02.22.046	2500		1 300	650	50	13 000
9	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	დაბა ლაითური	26.25.08.095	20		20	10	50	200
№	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	სოფ. გურიანთა	26.06.23.047	1124		60	30	50	600

# ციფრული ტელეკომუნიკაცია - გამოსასულება ხარვეზის გარეშე

მიწისზედა ანალოგური მაუწყებლობა რამდენიმე დღეში ციფრულ სატელევიზიომაუწყებლობაზე გადავა. ციფრული სატელევიზიო სიგნალი ანალოგურთან შედარებით უფრო ხარისხიანია. ასე რომ, საქართველოს მოსახლეობა კმაყოფილი უნდა იყოს, რადგან მალე გაუმჯობესებული ტელემაუწყებლობის ყურებას შეძლებს. თუმცა, მომავალი ცვლილების შესახებ ცნობადობა ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. საზოგადოების ნაწილს არა აქვს საკმარისი ინფორმაცია, თუ როგორ მოემზადოს ციფრულ სატელევიზიომაუწყებლობაზე გადასვლისთვის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ვუპასუხოთ იმ კითხვების ნაწილს, რომელიც ხალხს აწუხებს:

## რით განსხვავდება ციფრული სატელევიზიო სიგნალი ანალოგურისგან?

განსხვავება სიგნალის გადაცემის ტექნოლოგიაშია. ანალოგური ტელევიზიის შემთხვევაში სატელევიზიო სიგნალი მაგნიტური ტალღების მეშვეობით გადაიცემა, ციფრული სიგნალი კი - ბაიტების საშუალებით. განსხვავდება სატელევიზიო სიგნალის ხარისხიც. ციფრულ ინფორმაციას კრისტალურად სუფთა გამოსახულება და უმაღლესი ხარისხის ხმა აქვს.

## რა ღირს ციფრული ტელევიზია?

ღირებულება დამოკიდებულია პლატფორმაზე, რომლის საშუალებითაც სატელევიზიო სიგნალს იღებთ. თუ ციფრული სიგნალის მიღება სატელევიზიის, კაბელის ან ინტერნეტის (IPTV) მეშვეობით გინდათ, ფასი სერვისის პროვაიდერთან უნდა გაარკვიოთ. როგორც წესი, ღირებულება მოიცავს აღჭურვილობის ფასს, თუ ის

საჭიროა, და ყოველთვიურ გადასახადს. ეს უკანასკნელი დამოკიდებულია იმ არხების რაოდენობაზე, რომელთა მიღებაც გსურთ.

თუ თქვენ ღია სატელევიზიო არხების მიღება გინდათ, აღჭურვილობისა და ინსტალაციის ფასზე კონსულტაცია სატელევიზიო თეფშის ინსტალატორთან გაიარეთ. ხოლო თუ მიწისზედა ციფრული სიგნალის მიღება გსურთ, ციფრული მაუწყებლობის სააგენტოში გაარკვიეთ, თუ რა სახის აპარატურა დაგჭირდებათ.

## მივიღებ თუ არა HD ხარისხს? (მიწისზედა HD)

მიწისზედა ციფრული სატელევიზიო ქსელით შესაძლებელია არხების მიღება. პროგრამების საყურებლად თქვენ დაგჭირდებათ:

**HD** სეთ-თოფ-ბოქსი ან ტელევიზორი, რომელშიც **HD** დეკოდერი იქნება ჩამონტაჟებული.

**HD** ტელევიზორი (HDTV).


**HDMI** კაბელი, რომელიც ტელევიზორსა და სეთ-თოფ-ბოქსს დააკავშირებს.

**HD** პროგრამირება. ეს ნიშნავს, რომ მაუწყებლის მიერ მოწოდებული სიგნალი ხარისხის უნდა იყოს.

## მივიღებ თუ არა სუბსტიტებს?

სახელმწიფო სერტიფიცირებულ სეთ-თოფ-ბოქსებს იყიდის და „საქართველოს ფოსტის“ რეგიონულ სერვის-ცენტრებს მიაწოდებს იმ სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა 70 000 ან მასზე დაბალია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები კომპიუტერილობებს სახლში მიიღებენ.

# მცხოვანი პოეტისა და ნორჩი მკითხველების ბიბლიოთეკაში გახსნილი სიყვარული



**ალიონი** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში პოეზია ზეობს. 10 ივნისს აქ ქალაქ ოზურგეთის №3 საჯარო სკოლის მე-2 და მე-3 კლასების მოსწავლეები ცნობილ საბავშვო პოეტს, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრს, შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატს, 11 პოეტური კრეატივის ავტორს, ბატონ ჯემალ დობორჯგინიძეს შეხვდნენ.

იდეა ამ შეხვედრისა ქალბატონ მაია გელაშვილს ეკუთვნის, რომელმაც ჯემალ დობორჯგინიძის შემოქმედების გაცნობის შემდეგ, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობას თხოვა მის შეიღებს, №3 საჯარო სკოლის სხვა მოსწავლეებთან ერთად, მისცემოდთ შესაძლებლობა, შეხვედროდნენ პოეტს. ბიბლიოთეკის შეტყობინებას უმაღლესი დონეზე გატანილი ჯემალი და ეს შეხვედრაც შედგა.

ლონისძიებზე შემოქმედს რასაკვირველია, მიესალმნენ უფროსი თაობის პოეზი-

ის მოყვარულებიც როგორც შეხვედრის ორგანიზატორებიდან, ისე დამსწრე საზოგადოებიდან, მაგრამ სულ სხვა ხიბლი ჰქონდა ნორჩი მკითხველებისა და პოეტის ერთმანეთთან გაბაასებას. ბავშვებმა წიგნიერებისკენ საოცარი ლტოლვა გამოავლინეს, იმპროვიზირებულად წარმოადგინეს ჯემალ დობორჯგინიძის პოეზია, დაუსვეს გონებაში იქვე გააზრებული და არა წინასწარ მომზადებული კითხვები, დამსახურებულად მიიღეს პოეტისაგან თბილი პასუხები და უსაზღვრო სიყვარული.

შეიძლება ითქვას, რომ სხვა ფენომენტთან გვექნება საქმე, როდესაც ბატონ ჯემალს გურული სიმღერით მიესალმნენ იდეის ავტორი, ქართული ფოლკლორის ახალგაზრდა მკვლევარი ქალბატონი მაია გელაშვილი და მისი შეიღები.

„ეს დღე ერთ-ერთი გამორჩეული და ბედნიერია ჩემი ცხოვრების გზაზე!“ - თქვა შეხვედრის დასასრულს ეროვნულ სამოსში გამოწყობილმა 73 წლის პოეტმა.

# „ჩვენ უკვე დიდები ვართ“

**ალიონი.** შალვა რადიანის სახელობის სოფ. დვბაზუს საჯარო სკოლაში მკითხველ კლასებს გამოსაშვები საღამო ჰქონდათ. კლასის დამრიგებელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი როზეტა სკამკოჩიაშვილია.

10 თვალსაჩინო ვოგო-ბიჭი, სკოლის კლუბში შეკრებილ პედაგოგებს, მშობლებს, მოწვეულ სტუმრებს თავიანთ შემოქმედებას უჩვენებდნენ. ღიზი ტაკიძე, ეკა შათირიშვილი, ნათია ხინთიბიძე, ქეთევან თევზაძე, თანაკლასელებთან: ამირან დათუნაიშვილთან, ვახტანგ ხინთიბიძესთან, მიხეილ დოლიძესთან, მამუკა სირაძესთან, გიორგი ჭვინგილაძესთან და ლუკა თავდიშვილთან ერთად საოცარ ანსამბლს ქმნიდნენ. განსაკუთრებულად ქორეოგრაფიული ნომრები გამოუვიდათ, არც სიმღერასა და ლექსის თქმაში შეურცხვნიან თავი.



მადლობას უხდინენ როზეტა მასწავლებელს, სხვა პედაგოგებს.

„ჩვენ უკვე დიდები ვართ“ - განაცხადეს... სოფლის რწმუნებულმა ვასილ ლლონტმა და ქალბატონმა როზეტამ გადამ დვბაზუმში მიგვიპატიეთ.

ჩვენ ერთი სოფელი ვართ და ერთად ვართ-გვეთხრეს.

გაღმა დვბაზუს კულტურის სახლში პედაგოგ ლია ანდრეასის სადამრიგებლო კლასს ჰქონდა გამოსაშვები საღამო. აქ 14 ბავშვი გამოდიოდა სცენაზე. დარბაზი სავსე იყო მყურებლით.

როგორც ამ სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა ლალი ბასილაშვილმა გვითხრა, მომავალი წლიდან მას ამ კლასშიც მოუწევს მუშაობა და ძალიან კმაყოფილი იყო მათი

მონაცემებით. ქალბატონმა ლალიმ ქებით მოისხინა მესხი მოსწავლეები, რომლებთანაც მართალია დიდი მუშაობა უწევთ ქართული ენის სრულყოფილად ასათვისებლად, მაგრამ ზრდილობიანი და შრომისმოყვარეები არიან.

სცენაზე თანატოლებს შორის ომარ ბექაძეც იდგა, რომლის წერიალა ხმა მკაფიოდ ისმოდა დარბაზში. ომარის გარდა მე-5 კლასში გადავიდნენ: ნატა და ვახო ბერიძეები, ლანა და ნანა რუსთაველები, ფოტინე კვაჭანტირაძე, ოლეგ პოლევოი, სალომე მეტეხიშვილი, სოფო ულენტი, დავით ნაკაძე, დავით სურმანიძე, სათუნა ვიორგაძე, ნინო გაგლიშვილი, ნიკოლოზ კურგენიანი.

სოფ. დვბაზუს საჯარო სკოლაში შემოდგომაზე 14 პირველკლასელი შეადგეს სკოლის კარებს, ხოლო გაღმა დვბაზუს სკოლაში -12.

## აუშვიტონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციას უნდა წარმოგიტაროს შემდეგი ღოკუშენტიცა:

- \* დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განცხადება;
  - \* „ბპ“-ს საფასურის გადახდის დამადასტურებელი ღოკუშენტი;
  - \* მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ღოკუშენტი;
  - \* პირადობის დამადასტურებელი ღოკუშენტის ასლი;
  - \* ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;
  - \* საღამოშემდეგ ღოკუშენტის ასლები მოქმედი ანონსირი სამსახურში რეგისტრაციას (იურიდიული პირის შემთხვევაში);
- \* „აუშვიტონში მონაწილეობა შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეს და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს, ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომელთა ქონებაში საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25 %-ზე ნაკლებია;
- \* „ბპ“-ს და მონაწილის ბილეთის საფასური შეტანილი უნდა იქნეს შემოსავლების მართიან ანგარიშზე, შემდეგ სახაზინო კოდექსი 300903205;
- " დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ ოფისის მონაწილის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემხვედრულ „ოფისის მონაწილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზაციისა და სარეგულაციო უფლებით გადაცემა მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისიაში“; მისამართი: ქ. ოფისში, კონსტანტინე ძ. ოფისში მონაწილის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
- \* „აუშვიტონში მონაწილეობის მიღება მიმდინარეობს ყოველ დღე, შაბათ-კვირის გარდა, 2015 წლის 15 ივნისიდან 15 ივლისის 12 სთ-მდე“;
- \* აუშვიტონი ჩატარდება 2015 წლის 15 ივლისს, 14 სთ-ზე ოფისში მონაწილის მუნიციპალიტეტის შენობაში;
- \* „ოფისში მონაწილის მუნიციპალიტეტის გამგეობა, „ოფისში მონაწილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზაციისა და სარეგულაციო უფლებით გადაცემა მუდმივმოქმედი სააუქციონო კომისია“

ტელ: 595 906 305, 599 33 32 23, 599 70 47 70."



# გენერლები ოზურგეთიდან



გენერალ იოანე ნაკაშიძის ჩამოსვლა გურიაში

**გურულთა წაღში იშვა თვალსაჩინო მხედართმთავრები, რომლებსაც საბრძოლო ხელოვნებაში ბადალი არ ჰყავდათ და გამოირჩეოდნენ საარაკო მამაცობით.**

მათ შორის გამოირჩევიან; **ივანე ალექსანდრის ძე ნაკაშიძე** – გენერალ-ლეიტენანტი. დაიბადა 1848 წელს ოზურგეთში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში, იყო კავკასიის არმიის ოფიცერი, რუსეთის სამხედრო სამედიცინო სამართველოს უფროსი, წითელი ჯვრის მთავარი სამართველოს წევრი. გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს 1903 წელს, გენერალ-ლეიტენანტისა – 1917 წელს. თადარიგში გავიდა ამავე წელს. გარდაიცვალა სანქტ-პეტერბურგში 1917 წლის შემდეგ. მის სახელს უკავშირდება ბევრი საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება მშობლიურ გურიაში. ხშირად ჩამოდიოდა ოზურგეთში.

**მისივე ალექსანდრის ძე ნაკაშიძე** – გენერალ-მაიორი. დაიბადა 1844 წლის 7 იანვარს, ოზურგეთში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომში. იყო დღესტინის ოლქის მმართველი პატიოსანი გუბერნატორი – 1905 წლიდან. „დღესტინის სტატსკი სოვეტნიკის“ წოდება აქვს 1883 წლიდან. გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს 1903 წლიდან. დაიღუპა 1905 წლის II მაისს, ბაქოში ტერაქტის დროს.

**ალექსანდრე დავითის ძე ნაკაშიძე** – კავალერიის გენერალი. დაიბადა 1836 წელს ოზურგეთში. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის ომებში. 1876-1886 წლებში დაღესტნის ავარის ოკრუგის სამხედრო უფროსია. ელიზავეტპოლის ოლქის გენერალ-გუბერნატორია 1880 წლიდან. გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიანიჭეს 1889 წელს. კავალერიის გენერალი გახდა 1897 წელს, გარდაიცვალა 1905 წლის 25

სექტემბერს სანქტ-პეტერბურგში. **გიორგი გიორგის ძე** – გენერალ-მაიორი. დაიბადა 1871 წლის 14 იანვარს სოფელ ძიბითში. მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. იგი ქართველ ემიგრანტთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. აღიარებულია რუსეთის იმპერიასა და საფრანგეთში. მიღებული აქვს საფრანგეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდო ჯვარი /პალმის ლენტეხე/, რუსეთის იმპერიის უმაღლესი ჯილდო წმინდა გიორგის ორდენი. საფრანგეთში იგი „რუსულ ლეგიონს“, ეღვა სათავეში. ამ ლეგიონმა ისე გამოიჩინა ბრძოლებში თავი, რომ ფრანგებმა უწოდეს „ღირსების ლეგიონი“

ისტორიკოსები გიორგი გიორგის ძეს ასახაობენ როგორც ნიჭიერ და მამაც ოფიცერს. მას იცნობდნენ და აფასებდნენ როგორც რუსეთში, ისე საფრანგეთში, რადგან ქართველმა ოფიცერმა შეუნარჩუნა ღირსება და პატივი რუსეთის ოფიცრობას საფრანგეთში ბრძოლების დროს. გიორგი გიორგის ძე გარდაიცვალა 1936 წელს დასაფლავებულია ბელგრადში. მისი შთამომავლების დიდი სურვილია სახელოვანი მამულიშვილის ნეშტი გადმოსვენებული იქნეს საქართველოში.

**პარლან სიმონის ძე თაყაიშვილი** – გენერალ-მაიორი. დაიბადა სოფელ ლიხაურში 1850 წელს. ექვთიმე თაყაიშვილის ძმა. 1879 წლიდან ჯარშია. 1895 წლიდან არის კავკასიის სამხედრო ოლქის გენერალ-მაიორი.



გენერალი სიმონ ლლონი

შტაბის სამხედრო მიმოსვლის უფროსი. 1903 წლიდან ელიზავეტპოლის გენერალ-გუბერნატორია. გენერალ-მაიორის წოდება მიანიჭეს 1905 წელს, გარდაიცვალა 1934 წელს.

**გიორგი კონსტანტინის ძე თაყაიშვილი** – ინჟინერ-გენერალი. დაიბადა 1870 წელს, სოფელ ლიხაურში. 1913 წელს დაამთავრა რუსეთის სამხედრო-საინჟინრო აკადემია, პოლკოვნიკი 1915 წლიდან, 1918 წელს გახდა ინჟინერ-გენერალი. იგი იყო სამხედრო სამინისტროს საინჟინრო ტექნიკური სექციის უფროსი 1918 წლიდან. 1920-1921 წლებში საინჟინრო ტექნიკური ჯარების მეთაურია. 1921 წლის 18 მარტიდან ემიგრაციაშია. გარდაიცვალა 1927 წელს საფრანგეთში.

**საბირლონ იოსების ძე მსახი** – გენერალ-მაიორი. დაიბადა 1813 წელს ოზურგეთში. მონაწილეობდა ყირიმის ომში, 1853-1856 წლებში. 1835 წლიდან ბრესტის ეგერთა პოლკის ოფიცერია. 1865-1875 წლებში იყო თბილისის გუბერნიის უანდ-როსის სამართველოს უფროსი, გარდაიცვალა 1875 წელს.

ამერიის სამართველოს უფროსი, გარდაიცვალა 1875 წელს. **ნესტორ ალექსანდრის ძე კალანდარიშვილი**. დაიბადა 1874 წელს, სოფელ კვირიკეთში, იგი იყო იაკუტის ოლქისა და ჩრდილოეთის მხარის ჯარების სარდალი. ნესტორ კალანდარიშვილი აღმასავლეთ ციმბირის პარტიზანული მოძრაობის ერთერთი ხელმძღვანელია. 1918-1920 წლებში იბრძოდა ირკუტსკში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. აღიარებულია როგორც სამოქალაქო ომის გმირი. მას სიყვარულით „ციმბირის პაპს“ უწოდებდნენ. დაიღუპა 1922 წლის 6 მარტს შეტაკებისას. დასაფლავებულია ირკუტსკში.

**სიმონ ლლონი**. დაიბადა 1890 წელს, ოზურგეთის მხარის სოფელ გურიაში. იგი, მართალია, გენერალი არ იყო, მაგრამ იყო მეფის არმიის სერჟანტი, ოთხი ჯვრის კავალერი, რომელმაც თავი გამოიჩინა რუსეთ-ავსტრიის ომში. 1900 წელს ოზურგეთში დაამთავრა ოზურგეთის საქალაქო სამკლასიანი სასწავლებელი. 1910 წელს გაიწვიეს მეფის არმიაში. რუსეთ-ავსტრიის ომში მონაწილეობისას მიიღო ოთხი წმინდა გიორგის ჯვარი, ამათგან ორი ოქროსი, ორი ვერცხლის. 1916 წელს მუცლის არეში მძიმედ დაჭრილი მოათავსეს ქალაქ მოსკოვის პოსპიტალში, სადაც სამწუხაროდ გარდაიცვალა. მისი დაკრძალვის ადგილი ჩვენთვის უცნობია. გადმოცემით, გარდაცვალების შემდეგ, მისი ჯილდოე-



გენერალი გიორგი ლლონი

ბი გადმოგვავნა ოკაისს.

**გენერალი გიორგი ივანეს ძე ლლონი**. ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში, (საქმე 331), დაცულია სურათი წარწერით: მეფის რუსეთის გენერალი გ. ლლონი. ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ, რომ ის დაიბადა 1822 წელს სოფელ ღვამბურში – ადგილი ნასათიბგარი. გარდაიცვალა 1900 წელს. დაკრძალულია მელექელის სასაფლაოზე. მის შესახებ ცნობებს მოსაოველებად მუშაობა გრძელდება. ვთხოვთ აღნიშნულის შესახებ თუ ვინმეს რაიმე ცნობები მოუპოვება, მოგაწოდოთ ოზურგეთის ისტორიული მუზეუმში.

ეს განსაკუთრებით საინტერესოა, რომლებმაც თავი გამოიჩინეს და წარმატებით ემსახურებოდნენ რუსეთს თუ საბჭოთა კავშირს, ირანსა თუ თურქეთს, საფრანგეთსა თუ სხვა ქვეყნების შთარაღებულ ძალებს. მათი ნიჭი და გამჭირაობა მუდამ იქნება მაგალითი მომავალი თაობებისათვის.

**ანანა ლლონი** – ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი

## გურული ფირალების ცხოვრებიდან

# მეღაპრობა ავანგარდისა და კომიტეტისა

### ენვერ გოგუაძე

– „მოკლულია რამდენიმე ჯაშუში, პოლიციის აგენტი, – მოსალოდნელია მთელი რიგი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მკვლელობა... ყველა ეს ტერორისტული აქტია, მაზრის მმართველი წრე საშინელი პატივით არის შეპყრობილი. ბოქალები გარბიან სამსახურიდან. მაზრის უფროსი შიშისაგან ქუჩაში ვერ გამოსულა... აღმინისტრაციაც ორგანიზებულ ტერორს მიმართავს. ფარულად მოკლეს ამხანაგი გირკელიძე, მისი მოკვლის ორგანიზატორს განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს. კომიტეტის ნებართვის გარეშე იკრძალებოდა: „არშიფობა“, ქალისა და ვაჟის ტრფიალი“, პაემანის დანიშნვა“ და „სათავგადასავლო რომანის ცალკეული ნიუნსები და დეტალები“. ერთი ენაკვიმატი გურული კორესპოდენტი, მეტსახელად „პერპენდობილი“, ეშმაკის მათრახის ფურცელზე იუწყებოდა: ერთი სოფელე გასათხოვარ გოგოს წისქვილში ახალგაზრდა მეწისქვილისთან შეუსწრეს. წისქვილის იდილია გამჟღავნდა, მეწისქვილე საჯაროდ გაასამართლეს, და გადა-

წყვიტეს ქალისათვის ოცი თუმანი მიეცა და ათი საუენი სასოფლო გზა მოეკენჭა. ქალის ჭირისუფალმა ქალზე მეწისქვილის მიერ ჩადენილ ცოდვას „საუპატიურო“ გადასახადის ქალის ქორწილიც დაემატა – ქორწილი გაჩაღდა და ქალიშვილი გაათხოვა. დედოფალს მყარად ტკიპილი მოქართული, დარბაისელი და სიტყვათმცოდნეული თავადი ვახტანგ გურიელი, ძმა პოეტ მამია გურიელისა, ეახლა. შეზარხოშებული მყარი-ონი სიმღერით მიემართებოდა, ყველას ეძღვრებოდა, რადგან ქორწილი აქაც კომიტეტის ძალისხმევითა და ზედამხედველობით მიმდინარეობდა. უეცრად ამდენ „ჭირვარამ“ გამოვლილი დედოფლის ცხენი დაფრთხა, წაიფორხილა და დედოფალი კინაღამ ტალახში ამოავლო. ვახტანგმა პირმშვიდნიერი დედოფლისადმი ხელის შეშველება სცადა, შემდეგ უეცრად გველნაკბენივით ხელი უკან წამოიღო და დედოფალს გადაულაპარაკა: „რავა გამიწყრება ღმერთი, რავა დაგანებებ ტალახში

ჩავარდე, მაგრამ რომ გიმელო, ხელი უნდა შეგახო და შენი ხელის შეხება 20 თუმანი მაინც ღირს, მაგას ვინ ჩივა, გინდა მეტი იყოს, მაგრამ ათი საუენი გზის ჩემი ხელით მოკენჭვა ნამდვილად არ შემიძლია და რა ვქნა“. კომიტეტის აღზევებასა და ტერორისტების გააქტიურებას დიდად შეუწყობ ხელი ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა სტაროსელსკიმ, რომელიც წარმომავლობით იყო ჩერნიგოვის გუბერნიის აზნაური და გუბერნატორად დანიშნვის პერიოდში იმყოფებოდა 33 წლის ასაკში. 1885 წელს დაამთავრა პეტროვო-რაზუ-მოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემია და იმ წელსვე დაინიშნა ჩერნომორსკის ოლქის აგრონომად. 1890 წელს დაინიშნა ქუთაისის გუბერნიის აგრონომად, იყო მთავარი ექსპერტი საქარბის საწარმე მუერნობისა. ქუთაისის გუბერნატორის მალა პოსტზე დამკვიდრების თაობაზე სტაროსელსკი ჯერ კომიტეტს დაეთათბირა, მისგან მიიღო თანხმობა, ხოლო შემდეგ კავკასიის მეფის ნაცვალს. ილია ჭავჭავაძის თეო-

რიული მკვლეელი და ფაქტობრივი მესაფლავე, ფილიპე ეს-ეს ძე მახარაძე, რომელსაც ეყო გამბედაობა და ილიას მკვლელობის შემდეგ გურიის ქვეყნის ოთხასწლოვან დედაქალაქს, „კეთილპალატოვან ოზურგეთს“ მისსავე სიცოცხლეში მისივე გვარი „მახარაძე“ დაარქვა სახელად, სტაროსელსკის ქუთაისის გუბერნატორად დანიშნვის შესახებ წერდა: „ისეთი ფრთხილი მოხელეც კი, როგორც იყო კავკასიაში გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვი და შკოვი, მოტყუვდა ქუთაისის გუბერნატორის კანდიდატურის შესახებ... რა იცოდა ვორონცოვმა, რომ მას სტაროსელსკი მხოლოდ მას შემდეგ დაეთანხმა მიეღო გუბერნატორის პოსტი, როცა მან თანხმობა მიიღო სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციისაგან. შეუდგა რა გუბერნატორობას, სტაროსელსკის ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს პარტიული ორგანიზაციასთან მოლაპარაკების და თანხმობის გარეშე“. „სტაროსელსკი მუდამ გარემომორტყმული იყო რევოლუციონერებითა და აგრონომებით“.

### (დასაწყისი ალიონი №13-23)

სტაროსელსკის გარემომცველი რევოლუციონერები ძირითადად ტერორისტები იყვნენ. სტაროსელსკი პირადად იცნობდა ბევრ მათგანს, კერძოდ, სოფელ ღვამბურს მკვიდრს, გურულთა ზელიმხანს კიკია მამულაიშვილს. 1906 წლის „ნ დეკემბერს, აღნიშნულია ოზურგეთის მაზრის მომრიგებელი მოსამართლის თავად ნიკოკი თაყაიშვილის მოხსენებაში, – იყო დიდი კრება ქ. ოზურგეთს. ხალხმა წამოაყენა თავისი მოთხოვნები, ამავე კრებაზე ითქვა რომ გუბერნატორი სტაროსელსკი და მთელი რუსი ხალხი ემხრობა რევოლუციას, რევოლუციონერების ასეთი განაცხადი, რომ გუბერნატორი სტაროსელსკი მათ მხარეზეა, გამართლებული იყო პირადად სტაროსელსკის მიერ იგივე მოქმედებითა და საქციელით. იგი არავითარ ზომებს არ ღებულობდა გუბერნიაში რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. პირიქით, მოქმედებდა მათ ხელშესაწყობად. თავად თაყაიშვილს გუბერნატორმა შესთავაზა სამსახურიდან გადადგომა, იმის გამო, რომ რევოლუციონერებმა

მას მოუწყვეს ბოიკოტი, როდესაც ყველგან შეჩერდა მატარებლების მოძრაობა, გუბერნატორი ჩამოვიდა ოზურგეთში, შეკრიბა ხალხი, წაუკითხა მათ უკან გაემგზავრა ფაქტობრივ რევოლუციონერებთან, საბაშვილთან და მამულაიშვილთან ერთად, ამ ჩამოსვლის დროს გუბერნატორს ეცვა წითელი ფერის პერანგი, ფორმის პალტო, გუბერნატორმა შესთავაზა ბატალიონის უფროსს დაებრუნებინათ რევოლუციონერებისათვის წართმეული იარაღი. ტერორისტ კოკია მამულაიშვილთან ერთად, ქუთაისის გუბერნატორ სტაროსელსკის ახლო ურთიერთობა ჰქონდა სოფელ ნაგომრის სოციალ-დემოკრატებთან, გურიის ტერორისტული მოძრაობის ერთერთ მოწინავე რაზმთან, რომელთა შორის უმთავრესი ფიგურა იყო სისხლთა თხევამი დიდად დახელოვებული ერმალოზ ხალხის ძე ანდლეულაძე. – ეკვმიტანილი შემდგომში „თავად ილია გრიგორის ძე ჭავჭავაძის მკვლელობაში“.

# აურზაური ოზურგეთის თეატრში

**ალიონი.** ცხოვრება ჩვეულებრივი რეჟიმით მოდის და მიდის, იცვლება დრო და დროის შესაფერისად მოვლენები, იცვლებიან ადამიანთა სახეები, სახელები... უცვლელი რჩება ხასიათები, დამოკიდებულებები ერთმანეთსა და მოვლენათა მიმართ. კვლავ ზეობს სიმუღლი, მტრობა, შური, გაუტანლობა, ღალატი, ანგარება, ცილისწამება, ადამიანთა გრძობებით თამაში, გარება. ამ ორომტრიალსა და აურზაურში სიყვარულს და სიკეთესაც უპოვიათ თავიანთი მოკრძალებული ადგილი... და ეს ყველაფერი ეპოქიდან ეპოქას მემკვიდრეობით გადაეცემა.

შექსპირისდროინდელი ეპოქის გმირთა გამოძახილი დღევანდლობის რეალობით ოზურგეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენაზე. ერთქმოქმედებიანი კომედიის „აურზაური არაფრის გამო“ პრემიერა 9-10 ივნისს გაიმართა და მსურველთა ოვაციებით დაიმსახურა.

სპექტაკლი მოწვეულმა რეჟისორმა ლევან ზვინიამ დადგა. მხატვარი ლომეულ მურუსიძე; კოსტუმების მხატვარი ქეთი ციციშვილი. ქორეოგრაფი მარიკა ქვეითაია. რეჟისორის ასისტენტი მაკა მამულაიშვილი. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე.

დირექტორი ზაზა ჯინჭარაძე. მოქმედი პირნი და შემსრულებელი: დონ პედრო - ირაკლი ვადაჭკორია; დონ ზუანი - ლევან სალინაძე; კლავდიო - გიორგი დოლიძე; ბენედიქტი - ვახტანგ ჩხარტიშვილი; ბეატრიჩე - შორენა გვეტაძე; დონ ლეონატო - თემურ კვიციანი; ჰერო - ანი გოდერძიშვილი; მარგარეტი - თეა კეჭაყმაძე; ბორაჩო - ზვიად ჯორბენაძე; კონდრადი - გენადი ნიკოლაიშვილი; შინდი - ივანე ჩხაიძე; კვერთხი - ნუგზარ ბარამიძე; მამაო ფრენსისი ომარ ურუშაძე; საიდუმლო აგენტი - მარი ხანთაძე.

საინტერესოა სცენის დეკორაციული მხარე: საზოგადოება შავით თეთრზე დაწერილ ინფორმაციულ ბუმში ცხოვრების გამოძახებელი გამჭვირვალე ფარდები, რომლის მთავარი გმირი ადამიანია, ფურცლების, გაზეთების ფრაგმენტებითაა დაფარული. ისინი ერთობლიობაში თითქოსდა გაურკვეველ ფიგურებს წარმოადგენენ.. დაუსრულებელი ფიგურები, განწყობები, კარგად გამოხატავს არასრულფასოვან დამოკიდებულებებსა და რეალობას, რასაც კიდევ უფრო ამძაფრებს კარგად შერჩეული მუსიკა.

დინამიზმი სცენაზე, მოჭორავე ბრბო დროსა და სივრცეში. მოქმედ პირთა



მთავარი ხედვა: სხვას უნდა ჩაუკეტო გზა, თავად რომ გაგვხსნეს? ავაზაკობა ასე იაფად ფასობს? ყური დაუგლო მხოლოდ ტყუილს, იცხოვრო და სხვაც აცხოვრო ტყუილსა და შურში, ერთხელ, ორხელ, სამჯერ, და ასე, დაუსრულებლად და... მაინც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოკრძალებული სხივი სიკეთისა და სიყვარულისა, დროდადრო კვლავ წარმართავს გარკვეულ მოვლენებს

და ოზურგეთელმა მსახიობებმა პერსონაჟთა როლები კარგად მოირგეს, საინტერესო სახეები შექმნეს. შორეულ სივრცეში თანდათან გამოიკვეთა არასრულფასოვანი და სრულფასოვანი რეალობის ფორმულები. იგივე შორეულ სივრცეში პატარა ფრაგმენტზე იკითხება მკრთალად ნაწერი კითხვა - ვინ აყალიბებს ამ ფორმულებს და ვისთვის?...

## ჩემიონისეული უმაჯამებელი გაკვეთილები და ღონისძიებები



**ალიონი.** „დღეს ჩვენი სკოლა წლის შემეჯამებულ კარებს გააღებს...“

თავდაწვეული მწიფე თავთავით შეგრილი მოძღვარს მადლიდ აავსებს“ – ეს განცხადება სლოგანი ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის სასწავლო წლის შემეჯამებელი ღონისძიებების, რომელიც გასულ პარასკევს, 12 ივნისს შედგა.

„ალიონს“ უღრობის გამო, არ მიეცა შესაძლებლობა სრულყოფილად ენახა დაწყებითი განათლების, სახელმწიფო ენის, საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერების, უცხო ენების, ესთეტიკური მეცნიერების კათედრათა ღონისძიებები, მაგრამ რაც ნახა, იმის შესახებ მოკლედ გაუზიარებს თავის აზრს მკითხველს.

ქალაქ ოზურგეთის №2 საჯარო სკოლას რომ თითქმის ყველაფერს და ყველაფერში ჩემპიონ სკოლად მოიხსენიებენ, ამას უკვე შევევეუთ და გვეამყება.

ამ წერილში, პირველ რიგში, ყურადღება მინდა შევაჩერო წლებანდელ X1 კლასზე, რომელსაც

ხუთი წელია დამრიგებლობს ქალბატონი იზოლდა სიხარულიძე. ათი ათოსანი – ამ მაცნებელით ეს კლასი პირველია ქვეყანაში. შემეჯამებელი კლასის საათივ თემაზე „ემსწილი უნდა სწავლობდეს საცნობილოდ თავისდაყო“ ჩემპიონისეული იყო. კლასის მოსწავლეთა წარმოდგენილ პრეზენტაციებს ხარისხდაცული პიროვნებები მოაწერდნენ ხელს.

მათემატიკის კათედრამ და X2 კლასში (დამრიგებელი ირმა ჭვინციანი) ჩატარებულმა შემეჯამებელმა გაკვეთილმა კი აღაფრთოვანა დამსწრე საზოგადოება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ლელა იმედაშვილი, რომლის თქმით, კლასის ხელმძღვანელსა და საგნის მასწავლებელს აუცილებლად მიიწვევს რესურსცენტრში ამ გამოცდილების სხვა პედაგოგებისთვის გასაზიარებლად.

ღონისძიებები დაგვირგვინდა გალა კონცერტით „ბებრები და ჩვენ, დიდები და ჩვენ“.

## გზა მის უთე საფესურისკენ

თემურ მარშანიშვილი

ტყუებები – მარამ და ანანო არობელიძეები, რეზო ჯაში, გიორგი ბეგიტაშვილი, ნიკა სალუქვაძე, შუმანა ტარიელაძე, ლუკა ხმელიძე, ლიკა მყავანაძე – ესენი ქ. ოზურგეთის №5 საჯარო სკოლის (დირექტორი მერი საბაშვილი) ის მეთოდოლოგიები, რომლებმაც აქ 11 სექტემბერს გამოშვების დღე ნამდვილ დღესასწაულად აქციეს.

მეამყება, რომ ამ რვა ბავშვიდან სამი ჩემი ეზოს ბინადარია, ანუ ჩემი მეზობელია და ვინაც იცის ანასეულის შუა უბნის მეზობლობა, იმას სულაც არ გაუკვირდება ჩემი განცდა.

ერთი ამოსუნთქვით ასე გაწონასწორებული, პარმონიული, თბილი ღონისძიების გამართვა მხოლოდ შემოქმედებითად დახუნძლულ ბავშვებს ძალუბთ. ალბათ, ასეთ ღონისძიებებზე ამბობენ, დაეწვევას არ ეძლევა, ფერს არ იცვლის, გაუზუნარიაო.

ვისაც არ უნახავს ნამდვილი აღმაფრენა, იმას ამ რვა ნიჭიერი ბავშვის გამოხვლა უნდა ენახა, ვისაც არ უნახავს კლასის ხელმძღვანელის სახეზე ჩახუტების ბედნიერება და განმორების სინანული ერთდროულად, იმას ახალგაზრდა დამრიგებლის ხათუნა გობრონიძის სახე უნდა ენახა,

ვისაც არ უნახავს მომავალი თაობის ლამაზად აღმზრდელი პედაგოგების სიხარული, იმას კიდევ მშვენიერი ქალბატონების – ეთერ აბაშიძის, ლამშირა ანდლულაძის, ნატო ზარანდიას და მარიკა სირაძის დაზაფრული სახეები უნდა ენახა. ალბათ, ამიტომ არის მასწავლებლობა ყველაზე პრესტიჟული პროფესია და მხოლოდ გამორჩეულ პიროვნებათა ზეგარი.

მოკლედ, 11 ივნისს ქალაქ ოზურგეთის №6 საჯარო სკოლის ისტორია კიდევ ერთი ლამაზი ფურცლით შეივსო – რვა ანასეულები ბავშვი სასკოლო ცხოვრების მეხუთე საფეხურზე მიხდენილად შედგა. წინ კიდევ რვა საფეხურია და მერე დიდი, დიდი ცხოვრების საპასუხისმგებლო ასპარეზი.

P.S. ღონისძიებაზე დამსწრე ქალაქ ოზურგეთის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ლეონტი ბიგვაგამი, გაიგო რა პირველკლასელთა სასკოლო ოთახში იატაკის შეცვლის აუცილებლობის შესახებ, ქალაქის ხელმძღვანელებთან განხორციელებული სატელეფონო ზარით ოპერატიულად მოაგვარა ამ მიზნით ქალაქის ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფის საკითხი.



## 7 დღის ამინდის პროგნოზი

<b>შხმ, ღრუბალო</b> +18+22 15 ივნისი ორშაბათი	<b>წვიმა</b> +18+20 16 ივნისი სამშაბათი	<b>შხმ, ღრუბალო</b> +16+23 17 ივნისი ოთხშაბათი	<b>შხმ,</b> +22+30 18 ივნისი ხუთშაბათი	<b>შხმ,</b> +22+28 19 ივნისი პარასკევი	<b>წვიმა</b> +19+27 20 ივნისი შაბათი	<b>წვიმა</b> +15+22 21 ივნისი კვირა
--	--	---	---	---	---	--